

ბრძანება

15 სექტემბერი 2017წ.

თბილისი

№ 551/03

„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 26 ივლისის №460/03“ ბრძანებაში შეცდომის გასწორების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის და რექტორის 2017 წლის 26 ივლისის №460/03 ბრძანებაში შეცდომის გასწორების მიზნით,

ვბრძანებ:


I. „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ“ რექტორის 2017 წლის 26 ივლისის №460/03 ბრძანების I პუნქტის პირველ ქვეპუნქტში „1. სიედ მოჰამმედ აამილ- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;“ გასწორდეს შეცდომა და მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვანი პროგრამის ნაცვლად ზემოთ ნახსენები სტუდენტი ჩარიცხულ იქნეს მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე.

II. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

III. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს რ. ბერიაშვილს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურას, თსსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის

ამერიკული პროგრამის დირექტორს ე. ეკალაძეს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს დ. დელიბაშვილს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

IV. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



პროფესორი რიმა ბერიაშვილი

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი